აფხაზეთის კანონი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა (შემდგომში – მთავრობა) არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (შემდგომში – აფხაზეთის) უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს აფხაზეთის აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაზღვრავს აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

მუხლი 2

აფხაზეთის მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარის, აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ხელმძღვანელებისაგან, მათ შორის, აფხაზეთის მინისტრებისაგან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2006 წლის 31 იანვრის კანონი - ასმ №1, 31.01.2006წ. მუხ.2

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2006 წლის 11 მაისის კანონი - ასმ №11, 11.05.2006წ. მუხ.35

მუხლი 3

მთავრობის უფლებამოსილებანი აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთის კონსტიტუციით, ამ კანონით , სხვა საკანონმდებლო აქტებითა და უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით.

მუხლი 4

1.მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების მეშვეობით.

2. დაუშვებელია მთავრობის შემადგენლობაში ამ კანონით გათვალისწინებულის გარდა სხვა რაიმე სტრუქტურის/ორგანოს შექმნა ან არსებობა.

თავი II
მთავრობის კომპეტენცია

მუხლი 5

მთავრობა საქართველოს კონსტიტუციისა და აფხაზეთის კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში:

ა) კოორდინაციასა და კონტროლს უწევს აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების დებულებებს;

გ) ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივას;

დ) უფლებამოსილია გააუქმოს აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ხელმძღვანელთა სამართლებრივი აქტები;

ე) ამტკიცებს ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით შექმნილ სამთავრობო კომისიათა დებულებებს;

ვ) ახორციელებს აფხაზეთის ქონების მართვას;

უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ დაცვას;

თ) უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამების განხორციელებას;

ი) ახორციელებს საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების რეგულირებას, შეიმუშავებს და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს აფხაზეთის ბიუჯეტის პროექტს, ბიუჯეტის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

კ) მონაწილეობს მართლწესრიგისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში;

ლ) ახორციელებს საქართველოსა და აფხაზეთის საკანონმდებლო აქტებით, აგრეთვე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6

1. მთავრობა საქართველოს კონსტიტუციის, აფხაზეთის კონსტიტუციის, საქართველოსა და აფხაზეთის სხვა საკანონმდებლო აქტების, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებებსა და განკარგულებებს.

2. მთავრობის სამართლებრივ აქტს ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარე.

3. მთავრობის დადგენილება არის ნორმატიული აქტი, რომლის მომზადების, მიღება-გამოცემისა და ძალაში შესვლის წესი განისაზღვრება „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის კანონით.

თავი III
მთავრობის ხელმძღვანელობა და მისი საქმიანობის ორგანიზება

მუხლი 7

1. მთავრობას ხელმძღვანელობს მთავრობის თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო.

2. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი და წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას.

3. მთავრობის თავმჯდომარე:

ა) უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამას;

ბ) ხელმძღვანელობს აფხაზეთის მთავრობის საქმიანობას;

გ) იწვევს და ხელმძღვანელობს მთავრობის სხდომებს;

დ) კოორდინაციას უწევს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან მთავრობის ურთიერთობებს;

ე) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;

ვ) ხელს აწერს და აქვეყნებს აფხაზეთის კანონს ან შენიშვნებით უბრუნებს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს;

ზ) უფლებამოსილია თანამდებობაზე დანიშნოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების ხელმძღვანელი;

თ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სხვა თანამდებობის პირებს;

ი) ასრულებს ამ კანონით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და უმაღლესი საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში – საქართველოს პრეზიდენტისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

მუხლი 8

1. მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრების უფლებამოსილების შეწყვეტას. მთავრობის სხვა წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარე 2 კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის ახალ წევრს.

2. თუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ აფხაზეთის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ აფხაზეთის მთავრობის შემადგენლობა ნახევარზე მეტით განახლდა, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აფხაზეთის მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.

მუხლი 9

მთავრობის მუშაობის, მთავრობის სხდომის მომზადების, წარმართვისა და სხდომაზე საკითხის განხილვის წესი განისაზღვრება მთავრობის რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს მთავრობა.

მუხლი 10

1. მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით იქმნება მთავრობის აპარატი.

2. მთავრობის აპარატს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე.

3. მთავრობის აპარატის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის ორგანიზება განისაზღვრება მთავრობის აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მთავრობა.

მუხლი 11

აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება (შემდგომში – დაწესებულება) ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ მმართველობის დარგებს ან ახორციელებს დარგთაშორის მართვას და ექვემდებარება როგორც აფხაზეთის მთავრობას, ისე საქართველოს შესაბამის სამინისტროს.

მუხლი 12

დაწესებულებებია:

ა) განათლებისა და კულტურის სამინისტრო;

ბ) ეკონომიკის სამინისტრო;

გ) ფინანსთა სამინისტრო;
დ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
ე) (ამოღებულია - 31.01.2006);
ვ) დევნილთა საქმეების დეპარტამენტი;
ზ) იუსტიციის დეპარტამენტი;
თ) (ამოღებულია - 31.01.2006);
ი) (ამოღებულია - 31.01.2006);
კ) (ამოღებულია - 31.01.2006);
ლ) (ამოღებულია - 31.01.2006);
მ) აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2005 წლის 13 იანვრის კანონი №1 - ასმ №2, 24.01.2005წ. მუხ.8
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2006 წლის 31 იანვრის კანონი - ასმ №1, 31.01.2006წ. მუხ.2
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2006 წლის 1 ნოემბრის კანონი - ასმ №25, 01.11.2006წ. მუხ.66

მუხლი 13

1. დაწესებულება ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს აფხაზეთის კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.
2. დაწესებულებას აქვს დებულება, დასრულებული ბალანსი და დამოუკიდებელი ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.
3. დაწესებულება ფინანსდება აფხაზეთის ბიუჯეტიდან და კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.
4. დაწესებულების კომპეტენცია დგინდება აფხაზეთის კანონით ან/და აფხაზეთის კანონის საფუძველზე გამოცემული მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 14

1. დაწესებულება იყოფა სტრუქტურულ ქვედანაყოფებად.
2. დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენცია განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.
3. დაწესებულების დებულება უნდა შეიცავდეს:
ა) დაწესებულების სრულ დასახელებას და იურიდიულ მისამართს;
ბ) დაწესებულების საქმიანობის სფეროს და ამოცანებს;
გ) დაწესებულების ხელმძღვანელობის ორგანიზებას, ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობებს;
დ) დაწესებულების სისტემას, სტრუქტურას, სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითად ამოცანებს და კომპეტენციას;
ე) სხვა არსებით საკითხებს დაწესებულების საქმიანობის ორგანიზების შესახებ.

მუხლი 14[1] .

1. საქვეუწყებო დაწესებულება წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ან აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების გამგებლობაში არსებულ დაწესებულებას .
2.საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ ან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებულ სხვა სფეროებში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და საჯარო ფუნქციების განსახორციელებლად .
3. საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს ამ კანონის შესაბამისად ან მთავრობის დადგენილებით .
4 მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს მთავრობა, ხოლო აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების საქვეუწყებო დაწესებულების დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს მთავრობა შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით. საქვეუწყებო დაწესებულების დებულებაზე ვრცელდება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები .
5. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს – მთავრობის თავმჯდომარე შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით .
6. საქვეუწყებო დაწესებულება ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2005 წლის 13 იანვრის კანონი №1 - ასმ №2, 24.01.2005წ. მუხ.8

მუხლი 15

1. დაწესებულების ტერიტორიული ორგანოები იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს მთავრობის დადგენილებით, თუ აფხაზეთის კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. დაწესებულების ტერიტორიული ორგანო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს დაწესებულებას.

3. დაწესებულების ტერიტორიულ ორგანოს ხელმძღვანელს და მის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

მუხლი 16

დაწესებულების ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს დაწესებულების საქმიანობას და წყვეტს დაწესებულების გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) თვალყურს ადევნებს დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას და ამ კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას დაწესებულების საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე;

გ) კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს;

დ) მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს დაწესებულების შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე და აუცილებლობის შემთხვევაში – დამატებითი ბიუჯეტის პროექტზე, იღებს გადაწყვეტილებას საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ და პასუხისმგებელია ბიუჯეტის ზუსტად და მიზანშეწონილად შესრულებისათვის;

ე) მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენს ანგარიშს დაწესებულების საქმიანობის შესახებ;

ვ) მონაწილეობს მთავრობის სხდომებში;

ზ) ახორციელებს საქართველოსა და აფხაზეთის კანონებით, მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

მუხლი 16[1]

1. აფხაზეთის მინისტრის თანამდებობის შემოღების საკითხი წყდება აფხაზეთის მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანების შესასრულებლად.

2. აფხაზეთის მინისტრის უფლებამოსილება და კომპეტენციის ფარგლები განისაზღვრება ამ კანონითა და აფხაზეთის მთავრობის დადგენილებით.

3. აფხაზეთის მინისტრი:

ა) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს აფხაზეთის აღმასრულებელ ხელისუფლებას;

ბ) ახორციელებს აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების ხელმძღვანელისათვის ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მინიჭებულ უფლებამოსილებას;

გ) ასრულებს აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს;

დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.

4. აფხაზეთის მინისტრის საქმიანობას უზრუნველყოფს აფხაზეთის მინისტრის აპარატი, რომლის დებულებას ამტკიცებს აფხაზეთის მთავრობა.

5. აფხაზეთის მინისტრის აპარატის სტრუქტურას და საშტატო განრიგს განსაზღვრავს აფხაზეთის მთავრობა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2006 წლის 11 მაისის კანონი - ასმ №11, 11.05.2006წ. მუხ.35

მუხლი 17

1. დაწესებულების ხელმძღვანელს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება დაწესებულების დებულებით, ხოლო უფლებამოსილებანი – დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით.

2. პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს დაწესებულების საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას დაწესებულების ხელმძღვანელის არყოფნისას.

3.დაწესებულების ხელმძღვანელის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე.

4. დაწესებულების ხელმძღვანელის გადადგომა ან სხვა საფუძველზე მისი უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს ხელმძღვანელის მოადგილეების უფლებამოსილების შეწყვეტას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2005 წლის 13 იანვრის კანონი №1 - ასმ №2, 24.01.2005წ. მუხ.8

თავი IV
სათათბირო ორგანოები

მუხლი 18

1. მთავრობას, მთავრობის თავმჯდომარეს, მთავრობის წევრს ცალკეულ საკითხთა შესწავლისა და

შესაბამისი წინადადებების შემუშავების მიზნით შეუძლია შექმნას სათათბირო ორგანოები – კომისიები და საბჭოები.

2. სათათბირო ორგანო იქმნება აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციისათვის მიკუთვნებული სხვადასხვა საკითხების მოსამზადებლად. სათათბირო ორგანოს ამოცანებს, აგრეთვე მისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესს ამ ორგანოს შექმნისას განსაზღვრავს შესაბამისად, მთავრობა, მთავრობის თავმჯდომარე, მთავრობის წევრი.

თავი V
სამსახურებრივი ზედამხედველობა

მუხლი 19

1. სამსახურებრივი ზედამხედველობის მიზანია დაწესებულების, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფა.

2. სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია:

ა) გასცეს წერილობითი მითითებები გამოცემულ აქტში ან შესრულებულ მოქმედებაში ნაკლოვანების აღმოფხვრის შესახებ;

ბ) შეაჩეროს აქტის აღსრულება ან მოქმედების შესრულება;

გ) ცნოს აქტი ძალადაკარგულად.

3.სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელებისას მთავრობის თავმჯდომარე და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ხელმძღვანელები გამოსცემენ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს.

4. სამსახურებრივი ზედამხედველობა ხორციელდება ქვემდებარეობის წესით.

მუხლი 20

1.მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააუქმოს დაწესებულებათა ხელმძღვანელების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები მათი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით.

2.მთავრობა უფლებამოსილია გააუქმოს დაწესებულების ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტი მისი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით.

მუხლი 21

1. დაწესებულების ხელმძღვანელი ზედამხედველობს დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კანონიერებას და მიზანშეწონილობას.

2. დაწესებულების ხელმძღვანელი ძალადაკარგულად ცნობს პირველი მოადგილის, მოადგილეების, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა და დაწესებულების სხვა თანამდებობის პირთა აქტებსა და მოქმედებებს, რომელიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, აფხაზეთის კონსტიტუციას, საქართველოსა და აფხაზეთის კანონებს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის დადგენილებებს, დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებებს.

3. დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია ძალადაკარგულად ცნოს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ პირთა აქტები და მოქმედებები მათი მიზანშეუწონლობის მოტივით.

4. დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს დაწესებულების თანამდებობის პირების მოქმედებაზე სამსახურებრივი ზედამხედველობა დააკისროს პირველ მოადგილეს.

5. სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებლ პირს უფლება აქვს გასცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები აქტის შეცვლის ან მოქმედებაში ნაკლოვანების აღმოფხვრის ანდა ახალი მოქმედების შესრულების შესახებ.

მუხლი 22

1. მიზანშეუწონლობის მოტივით არ შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ან მოქმედება, რომელიც გამოცემული ან შესრულებულია საჯარო სამსახურის ორგანიზებისას, აგრეთვე სხვა აქტი ან მოქმედება, რომლის გამოცემის ან შესრულების პირობები გამომდინარეობს კანონიდან ან სხვა სამართლებრივი აქტებიდან.

2. მიზანშეუწონლობის მოტივით აქტის ან მოქმედების ძალადაკარგულად ცნობა უნდა იყოს დასაბუთებული.

თავი VI
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 23

1. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში:

ა) რეორგანიზებულ იქნენ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროები, აფხაზეთის ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტები, აფხაზეთის ენის სახელმწიფო პალატა

და მათ ბაზაზე შეიქმნას აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო;

ბ) გაუქმდეს აფხაზეთის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, სტატისტიკის დეპარტამენტი, ტურიზმის დეპარტამენტი და მათი ფუნქციები გადაეცეს აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს.

გ) გაუქმდეს აფხაზეთის ჰუმანიტარული დახმარების სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი ფუნქციები გადაეცეს აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს;

დ) რეორგანიზებულ იქნენ აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვისა სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროები, აფხაზეთის შრომისა და დასაქმების და ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტები და მათ ბაზაზე შეიქმნას აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ე) (ამოღებულია - 31.01.2006);

ვ) რეორგანიზებულ იქნეს აფხაზეთის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და მის ბაზაზე შეიქმნას დევნილთა საქმეების დეპარტამენტი;

ზ) რეორგანიზებულ იქნენ აფხაზეთის იუსტიციის სამინისტრო და მთავარი საარქივო სამმართველო და მათ ბაზაზე შეიქმნას იუსტიციის დეპარტამენტი;

ზ[1]) (ამოღებულია - 31.01.2006);

თ) გაუქმდეს აფხაზეთის ინფორმაციის სამინისტრო, აფხაზეთის საგანგებო საქმეთა სამინისტრო, აფხაზეთის კულტურულ-პოლიტიკური ცენტრი, აფხაზეთის მიწის მართვის სამმართველო, აფხაზეთის ეროვნულ უმცირესობასთან მუშაობის სამმართველო, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ფქვილის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია, აფხაზეთის მცენარეთა საკარანტინო სახელმწიფო ინსპექსია, კორპორაცია – „ აფხაზთამბაქო", კორპორაცია – „პურპროდუქტები", აფხაზეთის კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველო, აფხაზეთის ანტიმონოპოლიური სამსახური, აფხაზეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, აფხაზეთის შრომისა და ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია, აფხაზეთის ინვალიდთა საქმეების დეპარტამენტი, აფხაზეთის მრეწველობის სამმართველო, აფხაზეთის გაზისა და ნავთობპროდუქტების სამმართველო, აფხაზეთის წვევამდელთა გაწვევის მთავარი სამმართველო, აფხაზეთის მცირე ბიზნესის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი, აფხაზეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი, ვეტერინარიის სამმართველო, აფხაზეთის ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი, აფხაზეთის სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტი, აფხაზეთის სავაჭრო პალატა;

თ[1]) გაუქმდეს გაზეთი "აფხაზეთის ხმა".

2.აფხაზეთის მთავრობამ უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული დაწესებულებების რეორგანიზაციასთან და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2005 წლის 13 იანვრის კანონი №1 - ასმ №2, 24.01.2005წ. მუხ.8
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2005 წლის 1 ივლისის კანონი - ასმ №14, 08.07.2005წ. მუხ.62
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2006 წლის 31 იანვრის კანონი - ასმ №1, 31.01.2006წ. მუხ.2

მუხლი 24.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **თეიმურაზ მჟავია**
2004 წლის 25 ნოემბერი